



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბრძანება: **ბ11.11221594**

თარიღი: **08/06/2022**

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში კონკურსის წესით შესავსები მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 35-ე მუხლის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის #204 დადგენილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge) შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე დანართის შესაბამისად;
2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ამ ბრძანების აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე (www.abasha.gov.ge) გამოქვეყნება;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში კონკურსის წესით შესავსები მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის (დროებით მოვალეობის შემსრულებლის) 2022 წლის 8 ივნისის № 11.11221591 ბრძანება;
4. „ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. N247);
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დანართი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში კონკურსის წესით შესავსებ

ვაკანტურ თანამდებობათა ნუსხა

N	თანამდებობა	სამტატო ერთეული
1	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი	1
2	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1

გელა ხოშტარია

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე
(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

